სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ითხვისის N1 საჯარო სკოლა

მე-10 კლასი

ლიზი ქვათაძე

ასაკი - 15 წელი

რატომ უნდა ვიყოთ ტოლერანტები

ტექნოლოგიების საუკუნეში ალბათ აღარ უნდა იყოს აქტუალური საუბარი თემაზე, „კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის პატივისცემის, დიალოგის, თანამშრომლობის აუცილებლობა.''

განვითარებულ კაცობრიობას, ვფიქრობ, დალაგებული უნდა ჰქონდეს ეს თემა, თუმცა რეალობა სულ სხვაა. არა, იმის შეგრძნება ნამდვილად არ მაქვს, რომ განსხვავებული იდენტობის, რელიგიური მრწამსის ეთნიკური თუ პოლიტიკური შეხედულების ადამიანთა დევნა და დისკრიმინაცია ადრე არ იყო. იქნებოდა როგორ არ იქნებოდა, თუმცა როცა ადამიანმა განვითარების უმაღლეს ეტაპს მიაღწია, ეს „მიწიერი ვნებანი'' უფრო თვალშისაცემი გახდა და ადამიანის უფლება, თავისუფლება, პლურალიზმი, საზოგადოების ტოლერანტობა საფრთხის წინაშე დადგა. გასაკვირია თუმცა რეალობაა. ამიტომაც გახდა აუცილებელი ამ საკითხზე დაფიქრება და მსჯელობა, რადგან დემოკრატიული სახელმწიფო ამ ღირებულებების გარეშე ნამდვილად ვერ იარსებებს.

ქვეყანა - საქართველო, ტოლერანტ გარემოში მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, სადაც საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით უცხოვრიათ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა(რუსი, ქურთი, იეზიდი, სომეხი...) თუ სხვადასხვა რელიგიის(მართლმადიდებელი, კათოლიკე, მუსლიმი, გრიგორიანელი...) ხალხს.

ტოლერანტობა განსხვავებული შეხედულებების, ცხოვრების წესის, ქცევისა და ჩვეულებების ადამიანების მიმართ შემწყნარებლობა და მათი გადაწვეტილებების პატივისცემაა. თითოეული ჩვენგანი იბადება თავისუფალი, იგი იღებს გარემოს ისეთს, როგორიც არის და შემდგომში ხდება მისი ერთ-ერთი წევრი თუმცა, ამ დროის მანძილზე მის ჩამოყალიბებაზე ზრდასრულ ადამიანად ზემოქმედებას ახდენს უამრავი ფაქტორი. აუცილებელია ყველამ ვიცოდეთ ჩვენი უფლებები და მოვალეობები, რათა შევძლოთ მათი სწორად გამოყენება. ალბათ ვთანხმდებით, რომ ყველას ერთხელ მაინც შეგვინიშნავს დისკრიმინაციის ფაქტი და რა ზომისთვის მიგვიმართავს? უმეტესობას თვალი აგვირიდებია.

არაერთხელ გვსმენია სიტყვები: „ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც არ გინდა, მოგექცნენ შენ''. ჩემთვის ამ სიტყვებს სხვა ბევრი გამონათქვამის მსგავსად ფასი აქვს დაკარგული. დაფიქრდით რამდენად მტკივნეულია, როცა ვიღაც განსხვავებული გარეგნობის, განსხვავებული აზრის, განსხვავებული რელიგიის ან ეროვნების გამო გაკრიტიკებს ეს ხომ უფლებების დარღვევაა და შეიძლება ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანოს. ადამიანს, ვინც სხვის დისკრიმინაციას ცდილობს, ალბათ აზრადაც არ მოუვა იმის ადგილას ყოფნა, ვისაც განსჯის. ჩვენ უნდა შევძლოთ იმის გაგება, რომ ყველა ადამიანი ერთნაირი ვერ იქნება. დისკრიმინაციის უამრავ ვიდეოსა თუ ამბავს ვაწყდები ყოველდღიურად სოციალურ ქსელში. ზოგს ვხსნი და ვკითხულობ, ზოგსაც პირდაპირ „ვსქროლავ'', იმიტომ კი არა, რომ უგულვებელვყოფ, უბრალოდ....

თუმცა მინდა ერთ ამბავზე მოკლედ მოგითხროთ. რატომ? იმიტომ, რომ კარგი დასასრული აქვს, ისტორია კი მძიმეა.
რამოდენიმე ხნის წინ სოც.ქსელში გადავაწყდი პოსტს, სადაც ეტლით მოსარგებლე გოგონას ნინის ისტორია იყო მოთხრობილი. მოკლედ გეტყვით. წლების განმავლობაში ნინის ეტლი არ ჰქონდა და დედას ხელში აყვანილი დაჰყავდა სკოლაში. 2015 წელს პრობლემა მოიხსნა,

თუმცა უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დადგა დედა-შვილი. ახალ სკოლაში გადასვლის შემდეგ არ გაითვალისწინეს მისი საჭიროებები და იგი იძულებული გახდა ე.წ „ონლაინ სწავლებაზე'' გადასულიყო. არა და 14 წლის გოგონასთვის მნიშვნელოვანი სწორედ მეგობრების წრეში ყოფნა და ინტეგრირება იყო. რა გამოვიდა? ჩაკეტილი სივრცე, უინტერესოდ გატარებული უფერული დღეები. სად იყო ამ დროს ტოლერანტული საზოგადოება? ყველგან, თუმცა ჩრდილში.
და დაიწყო ბრძოლა შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით. ბრძოლამ შედეგი გამოიღო, სასამართლომ მოთხოვნები დააკმაყოფილა. კონკრეტული სკოლა და რაიონი განგებ არ მივუთითე, რადგან ასეთი მაგალითები ჩვენს გარშემო უამრავია.

ბოლოს ვიტყვი, რატომ განვიხილე ეს მაგალითი, როდესაც ტელევიზიები თუ სოც.ქსელები აჭრელებულია განსხვავებული იდენტობის, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ადამიანთა დევნისა და დისკრიმინაციის ფაქტებით. იმიტომ რომ შშმ ადამიანთა მიმართ გულგრილი დამოკიდებულება ჩემთვის სწორედ რომ დისკრიმინაციაა, ფუნდამენტური ღირებულებების დარღვევაა, რომლის გარეშეც ვერ ავაშენებთ დემოკრატიულ საზოგადოებას.

გამოყენებული რესურსები: mshoblebi.ge